სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N234

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „აქთივ ბათუმი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მეჰმეთ აქთაშის მინდობილი პირის მამუკა ზაქარაძის სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა დეპარტამენტის სტუმრებისათვის, კერძოდ, ქართველი ბლოგერისათვის და ფოტოგრაფისათვის (სულ 2 პიროვნება), 2019 წლის 21-22 ივლისს (2 ღამე) უნდა უზრუნველყოს სასტუმრო მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ.N33, სასტუმრო „Wyndham Batumi“.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **820** ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ლეილა გოგუაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

5.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „აქთივ ბათუმი“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. N33
	საიდენტიფიკაციო კოდი: 445384753
	სს „თიბისი ბანკი“ *ბანკის კოდი* – TBCBGE22 ანგარიში N GE94TB7625136020100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორის მინდობილი პირი**
_____ /თინათინ ზოიძე/ ბ.ა.	_____ /მამუკა ზაქარაძე/ ბ.ა.

Active Batumi LLC

Digitally signed by Active Batumi LLC
Date: 2019.07.19 12:59:09 +04'00'